სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

მარტი №5

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman**: professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / Formal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-35

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ---- ---------- 36-40

saqarTvelos erovnuli banki / **National Bank of Georgia** ---------41-43

auqcioni / **Auction** ---------- 44

situaciuri saxelmZRvaneloebi / **Situational manuals** ------45-56

gadasaxadebi #5, 2018

GADASAKHADEBI #5, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №111

2018 წლის 6 მარტი, ქ. თბილისი

„საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილებაში (სსმ, 29/03/2010, მუხლი 474) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ დებულების მოქმედება არ ვრცელდება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის №197 ბრძანებულებით გათვალისწინებულ ქონებაზე;

ბ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული მატერიალური საშუალებების (რომელთა ჩამოწერას, აღრიცხვიდან მოხსნას და განკარგვას არ არეგულირებს „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის №197 ბრძანებულება) ჩამოწერის, აღრიცხვიდან მოხსნის და განკარგვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებულ ქონებაზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №105

2018 წლის 1 მარტი, ქ. თბილისი

„მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში (სსმ, №155, 29/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-13 მუხლით განსაზღვრული ცხრილის „საერთო მოთხოვნებს“ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9	სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების კონტროლი და პრევენცია კანონმდებლობით დადგენილი წესით“.	

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №114

2018 წლის 6 მარტი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

1. მე-2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2	პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურება	1 წელი	საწარმოებისთვის, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის (გარდა ახლად რეგისტრირებული საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისა) – 3 000 ლარი; ახლად რეგისტრირებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის – 1 000 ლარი; ფიზიკური პირებისათვის – 500 ლარი. **შენიშვნა:** ამ გრაფის მიზნებისთვის: 1. ახლად რეგისტრირებულ საწარმოდ/ორგანიზაციად/ ინდივიდუალურ მეწარმედ მიიჩნევა საწარმო/ორგანიზაცია/ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც რეგისტრირებულია აღნიშნული მომსახურებით სარგებლობისთვის განცხადებით მომართვის წელს. 2. ორგანიზაციად მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წარმონაქმნები.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-5 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5	გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარება		ორგანიზაციებისათვის – 5000 ლარი; სხვა პირებისათვის: 12 თვემდე პერიოდის შემოწმებისათვის – 10 000 ლარი; 12-დან 24 თვემდე პერიოდის შემოწმებისათვის – 20 000 ლარი; 24 თვეზე მეტი პერიოდის შემოწმებისათვის – 30 000 ლარი. **შენიშვნა**: ამ გრაფის მიზნებისათვის ორგანიზაციად მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წარმონაქმნები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №119

2018 წლის 7 მარტი. ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის (იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება):

1. **მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში:

1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ბ) გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ) ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ი) ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

კ) სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ლ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

მ) საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ნ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ო) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

პ) გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე.

2. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამმართველოს უფროსი.“.

2. მე-13 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 15 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

იმ შემთხვევაშიც თუ სწორ ლიანდაგზე ხართ, გადაგივლიან თუ გაუნძრევლად იჯდებით.

უილ როჯერსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №120

2018 წლის 7 მარტი, ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის) :

1. **მე-19 მუხლის** 11^1 **პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 11^2 **პუნქტი**:

„11^2. ამ პროგრამის მე-20 მუხლის 5^2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, რომელიც გამოვლინდება რევიზიის დროს, გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას განმახორციელებლის მიერ სარევიზიო პერიოდში პროგრამის/ კომპონენტის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 1%-ით.“.

2. **მე-20 მუხლის** 5^1 **პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 5^2 **პუნქტი**:

„5^2. სტაციონარული მომსახურების (გარდა დღის სტაციონარისა) მიმწოდებელი ვალდებულია, ჰოსპიტალიზებული ყველა პაციენტისათვის, C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით დადებითი შედეგის მიღების შემთხვევაში, უზრუნველყოს კონფირმაციული კვლევისათვის საჭირო სისხლის ნიმუშის აღება, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ალგორითმის – „სისხლის აღების, ალიქვოტების მომზადებისა და ტრანსპორტირების წესის“ შესაბამისად და განახორციელოს შეტყობინება ცენტრში საკვლევი მასალის ტრანსპორტირების საჭიროების თაობაზე C ჰეპატიტის სკრინინგის აღრიცხვის ფორმის (ელექტრონული მოდულის) მეშვეობით. ცენტრი უზრუნველყოფს დაწესებულებებიდან სისხლის ნიმუშების მოგროვებასა და ტრანსპორტირებას ცენტრის რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 10 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №121

2018 წლის 7 მარტი, ქ. თბილისი

„2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2017, 470000000.10.003.020302) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. **№1 დანართის (დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 8. **პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1,830.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	კიბოს სკრინინგის კომპონენტი	1,074.0
2	საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი	34.0
3	1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია	161.0

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4	ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა	416.0
5	დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტი	109.0
6	საინფორმაციო რეგისტრებისა და ელექტრონული მოდულების განვითარება	36.0
	სულ:	**1,830.0**

2. **№2 დანართის (იმუნიზაცია) მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10[1] პუნქტი:**

„10[1]. ცენტრმა უზრუნველყოს, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიმღები სამედიცინო დაწესებულების წერილობითი მომართვისა და საქართველოს მოქალაქის განცხადების საფუძველზე, აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაზე „ბ“ ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინის გაცემა, საქართველოს მოქალაქის შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით ასაცრელად.“.

3. **№3 დანართის (ეპიდზედამხედველობა):**

ა) მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო არეალზე მიმდინარე წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის ეპიდზედამხედვე-ლობითი მხარდაჭერის უზრუნველყოფას, მათ შორის:

გ.ა) ცენტრის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად, შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებში ჩართვის მიზნით, C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით გამოვლენილი დადებითი შედეგების მქონე იმ ბენეფიციართა, რომელთაც C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი სტატუსი განესაზღვრათ 6 ან/და მეტი თვის წინ, იდენტიფიცირებულნი არიან C ჰეპატიტის სკრინინგის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მაგრამ არა აქვთ ჩატარებული შემდგომი დიაგნოსტიკური კვლევები, მიდევნებასა და ზედამხედველობას;“;

ბ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1,770.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრებისთვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსებისთვის	553.5

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2	მალარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება	986.5
3	ნოზოკომური ინფექციების ეპიდზედამხედველობა	30.0
4	ვირუსული დიარეების კვლევა	80.0
5	გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედვე-ლობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება (მ.შ., საყრდენი ბაზების მომსახურება თვეში არაუმეტეს 3000 ლარისა)	120.0
სულ		1,770.0

4. №8 **დანართის (აივ-ინფექცია/შიდსის მართვა) მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7. მე-3 მუხლის „ა.ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტესტსისტემებისა და სახარჯი მასალების გადაცემა ცენტრის მიერ ხორციელდება მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი და მათი ქვეკონტრაქტორი დაწესებულებებისათვის, გარდა მე-3 მუხლის „ა.ი“ ქვეპუნქტის მიმწოდებელი დაწესებულებებისა, რომლებზეც ტესტებისა და სახარჯი მასალების გადაცემა ხორციელდება სჯდ ცენტრის მეშვეობით.“.

5. №11 **დანართის (ჯანმრთელობის ხელშეწყობა) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 11. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1,220.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება	800.0
2	ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება	46.0
3	ჯანსაღი კვების შესახებ განათლება	46.0
4	ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა	30.0
5	C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა	95.0
6	ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ნივთიერებადამოკიდებულების პრევენცია	58.0
7	ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება (მათ შორის, მასმედიასთან ურთიერთობა, სატელეკომუნიკაციო და საეთერო დროის შესყიდვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე)	145.0
	სულ	**1,220.0**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №93

2018 წლის 1 მარტი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ ქვეპუნქტი**:

„უ) სამსახურის უფროსის სამდივნო.“.

2. 17^7 **მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 17^8 **მუხლი**:

„მუხლი 17^8. **სამსახურის უფროსის სამდივნო**

სამსახურის უფროსის სამდივნოს ფუნქციებია:

ა) სამსახურის უფროსის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, სამსახურში არსებული სათათბირო ორგანოების სხდომების დადგენილი რეგლამენტით ჩატარების ორგანიზება, მათი გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა და ორგანიზაციული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა;

გ) სათათბირო ორგანოების სხდომების კალენდრის შედგენა და წევრების ინფორმირება;

დ) სათათბირო ორგანოების სხდომის დღის წესრიგების მომზადების უზრუნველყოფა, წევრებისგან/შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისაგან საკითხების/განსახილველი მასალების გამოთხოვა და შესაბამისი პირებისათვის წინასწარ გაგზავნა;

ე) სათათბირო ორგანოების სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების ოქმების წარმოება და უფლებამოსილი პირებისთვის გაგზავნა;

ვ) სათათბირო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი;

ზ) სამსახურის უფროსის სახელზე შემოსული კორესპონდენციის დამუშავება;

თ) პროტოკოლის წარმოება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

კ) სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №94

2018 წლის 2 მარტი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. 81-ე **მუხლის**:

ა) **მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. საგადასახადო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^{4}, 91^{2}, 99-ე, 127^{1} მუხლის მე-2 ნაწილით, 129^{1}, 153-ე, 153^{1}, 153^{7}, 154^{1}, 154^{2}, 155^{1} – 155^{6}, 157-ე, 157^{1}– 157^{3}, 158-ე, 158^{1}, 159^{4}, 163-ე, 164-ე,164^{4}, 165-ე – 165^{3}, 165^{10}, 178-ე, 179^{3}, 191^{1}, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127^{1} მუხლის მე-2 ნაწილით, 129^{1}, 153^{7},157-ე, 165-ე, 165^{10}, 179^{3}, 191^{1}, 194-ე და 195-ე მუხლებით.“;

ბ) **მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში, ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^7 ან 191^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.“.

2. 82-ე **მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას და უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე, ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^7 ან 191^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე და აღნიშნული დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებით (ფოტო ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით), ოქმი ჩაბარებულად ითვლება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №97

2018 წლის 5 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანებით (სსმ III, 30.11.2009, №147, მუხლი 1731) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. დაწესდეს სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული დღე და აღინიშნოს ყოველი წლის 30 მარტს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/100

2018 წლის 5 მარტი, ქ. თბილისი

სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის ფორმის და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვის შესახებ ევროპული შეთანხმების (ADR) 8.2.1.1 პუნქტის, „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 ივლისის №1422 განკარგულებით დამტკიცებული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული შეთანხმების (ADR) საქართველოში იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული შეთანხმების (ADR) საქართველოში იმპლემენტაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №177 განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის ფორმა და აღწერილობა (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს „სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის გაცემის წესი“ (დანართი №2).

მუხლი 3

დამტკიცდეს სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის ფორმისა და აღწერილობის შესაბამისად დამზადებული ნიმუში (დანართი 3).

მუხლი 4

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის ფორმა და აღწერილობა

წინა მხარე	ADR-ის მოწმობა მძღოლის მომზადების შესახებ (მძღოლის ფოტოსურათის ადგილი)* 1. (მოწმობის №) 2. (გვარი) 3. (სახელი და მამის სახელი) 4. (დაბადების თარიღი) 5. (მოქალაქეობა) 6. (მძღოლის ხელმოწერა) 7. (მოწმობის გამცემი ორგანო) 8. (მოქმედების ვადა)
უკანა მხარე	**ძალაშია კლასისთვის (კლასებისთვის) ან გაეროს ნომრისთვის:** **ცისტერნები** — 9. მიუთითეთ კლასი **ცისტერნების გარდა** — 10. მიუთითეთ კლასი

1.მოწმობა შეიცავს წინა და უკანა მხარეს.

2. მოწმობის წინა მხარეზე განთავსდება მოწმობის დასახელება, მძღოლის ფოტოსურათი, ბარათის გამცემი ქვეყნის – საქართველოს განმასხვავებელი ნიშანი - GE და მონაცემები შემდეგი თანმიმდევრობით:

1) (მოწმობის №) მაგ.GE00000;

2) (გვარი);

3) (სახელი და მამის სახელი);

4) (დაბადების თარიღი);

5) (მოქალაქეობა);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6) (მძღოლის ხელმოწერა);

7) (მოწმობის გამცემი ორგანო);

8) (მოქმედების ვადა);

3.მოწმობის უკანა მხარე შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

(9) მიეთითება გადასაზიდი სახიფათო ნივთიერებების ყველა კლასი და ქვეკლასი ცისტერნებით გადაზიდვებისათვის;

(10) მიეთითება გადასაზიდი სახიფათო ნივთიერებების ყველა კლასი და ქვეკლასი ცისტერნების გარეშე გადაზიდვებისათვის.

4. მოწმობის მეორე მხარე ივსება შემდეგი წესით: კლასებისა და ქვეკლასების ჩამონათვალში გადაიხაზება იმ კლას (ებ)ის და ქვეკლას(ებ)ის ციფრები, რომლებშიც მძღოლს მომზადება არ გაუვლია.

5. სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის ზომები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტს ISO 7810:2003 ID-1 და ის უნდა იყოს პლასტიკური. ფერი უნდა იყოს თეთრი, შრიფტი – შავი. მოწმობაზე უნდა იყოს წარმოდგენილი დაცვის დამატებითი ელემენტი, როგორიცაა ჰოლოგრამა ან გამოსახულების ბეჭედი, რომელიც ჩანს მხოლოდ ულტრაიისფერი განათებისას, ან გილიოშის ნახატი.

6. მოწმობა უნდა იყოს შედგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

დანართი №2

სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის (შემდგომ – მოწმობა) გაცემის წესი (შემდგომ – წესი) შემუშავებულია სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული შეთანხმების (ADR) შესაბამისად.

2. წესი განსაზღვრავს სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის გაცემის პირობებსა და პროცედურებს.

3. მოწმობის ფიზიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ISO 7810:2003 ID-1 სტანდარტს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. ბარათს ენიჭება სერიული ნომერი, რომელიც შედგება GE და ხუთნიშნა ზრდადი ციფრისგან.

5. მოწმობა გაიცემა შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მფლობელ მძღოლზე „სახიფათო ტვირთების გადამზიდავი მძღოლების სპეციალური მომზადების სასწავლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 14 ნოემბრის N1-1/490 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროგრამებით გავლილი შესაბამისი სწავლების კურსის დასრულებისა და გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

მუხლი 2. მოწმობის გაცემის პირობები და პროცედურები

1. მოწმობის გაცემა წარმოებს შემდეგ შემთხვევაში:

ა) ამ მუხლის მე - 3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ბ) მოწმობის მფლობელის პერსონალური მონაცემების შეცვლისას (საცხოვრებელი ადგილის/ქვეყნის, გვარისა და სხვა მონაცემების, რომლებიც გავლენას ახდენენ მოწმობისა და მისი მომხმარებლის იდენტიფიკაციაზე);

გ) მოწმობის დაკარგვის ან მოპარვისას;

დ) მოწმობის დაზიანებისას, რის შედეგადაც მისი გამოყენება შეუძლებელია.

2. შეცვლილი მოწმობის მოქმედების ვადა აითვლება ძველი მოწმობის გაცემის თარიღიდან.

3. მოწმობის მოქმედების ვადა შეადგენს 5 წელს მძღოლის მიერ გამოცდის ჩაბარებიდან და გაიცემა მაძიებელზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ახორციელებს ან სურვილი აქვს განახორციელოს სახიფათო ტვირთების საგზაო გადაზიდვა;

ბ) გააჩნია შესაბამისი კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

გ) გავლილი აქვს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ განხორციელებული მომზადების სპეციალური კურსები.

4. მოწმობის მისაღებად (შესაცვლელად) განმცხადებელმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს განცხადება მძღოლის მოწმობის მიღებაზე (შეცვლაზე), რომელსაც თან უნდა ახლდეს:

ა) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;

გ) განმარტება მოწმობის დაკარგვის (მოპარვის), დაზიანების ან განადგურების გარემოებათა შესახებ (მოწმობის დაკარგვის (მოპარვის), დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში);

დ) მძღოლის ფოტოსურათი (35/45მმ ფორმატი 1 ც., აგრეთვე CD-ზე ჩაწერილი);

ე) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ განხორციელებული მომზადების სპეციალური კურსების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. გაცემულ მოწმობაში მკვეთრად უნდა იყოს მითითებული მისი მოქმედების არეალი, რომელიც შემოიფარგლება შესაბამისი სახიფათო ტვირთებით ან სახიფათო ტვირთების კლასით (კლასებით).

6. გაცემული მოწმობების უწყებრივ რეესტრს აწარმოებს სააგენტო ელექტრონული სახით.

მუხლი 3. მოწმობის გაუქმების საფუძველი

მოწმობის გაუქმების საფუძველია:

ა) ახალი მოწმობით შეცვლა;

ბ) მოწმობის მფლობელის გარდაცვალება;

გ) მოწმობის მოქმედების ვადის გასვლა.

მუხლი 4. მოწმობის მფლობელის ვალდებულებები

მოწმობის მფლობელი ვალდებულია:

ა) გამოიყენოს მოწმობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ;

ბ) გამოიყენოს მხოლოდ თავისი მოწმობა;

გ) არ გადასცეს მოწმობა გამოყენებისათვის მესამე პირს;

დ) მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მოწმობა შესაბამის მაკონტროლებელ უფლებამოსილ პირებს.

დანართი 3

სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების

მძღოლის მომზადების მოწმობის ნიმუში

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-4

2018 წლის 1 მარტი, ქ. თბილისი

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 (სსმ, ვებგვერდი 13/07/2017; სარეგისტრაციო კოდი 260030000.64.076.016017) ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის“ (დანართი №1):

1. მე-3 **მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

,,ბ) შესასრულებელი ღონისძიებები – სამსახურის მიერ მონიტორინგის განხორციელების შედეგად ასახული იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი (შესასრულებელი ვადების მითითებით), რაც სავალდებულოა აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის;“.

2. მე-15 **მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

,,ე) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წინასწარ შედეგებზე, მათ შორის, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ მომზადებულ გამოსწორების გეგმაზე და სამსახურის რეკომენდაციაზე წარმოდგენილი შენიშვნების/წინადადებების, განხილვა და მონიტორინგის საბოლოო ანგარიშის მომზადება;“.

3. მე-19 **მუხლის**:

ა) მე-5 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

,,5. აუდიტორი და აუდიტორული ფირმა არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში წარადგენს წერილობით პოზიციას მისთვის წარდგენილ წინასწარ შედეგებთან მიმართებაში, რომელშიც, არსებობის შემთხვევაში, ასახავს საკუთარ შენიშვნებსა და წინადადებებს. საკუთარი პოზიციის წარუდგენლობა ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განიხილება, როგორც თანხმობა წინასწარ შედეგებზე.";

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შენიშვნების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში მონიტორინგის ანგარიშში შეიტანოს ცვლილება და ასახოს საბოლოო შედეგები".

4. **მე-20 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

,,9. მონიტორინგის შედეგები (დასკვნითი შეფასების კატეგორია, შემზღუდველი ხასიათის რეკომენდაცია და პასუხისმგებლობის სახე, ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯაროა. აღნიშნული შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში. სამსახური უფლებამოსილია შეზღუდოს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის და სუბიექტის შესახებ ინფორმაციის სრულად გამოქვეყნება, თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს უქმნის შესაბამისი დარგის ფინანსურ სტაბილურობას.";

5. **21-ე მუხლის**:

ა) მე-2 პუნქტის:

ა.ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის მონიტორინგის საბოლოო შედეგების დასკნითი შეფასება შეიძლება იყოს შემდეგი 6 კატეგორიის:";

ა.ბ) ,,დ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,დ[1]" ქვეპუნქტი:

,,დ[1]) მეოთხე კატეგორიის - კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებულ აუდიტის მტკიცებულებებთან, ძირითად აუდიტის მსჯელობებთან (სტრატეგიასთან) და შესაბამის ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში აღმოჩნდა სისტემური ხარვეზები, რომლებიც ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად არსებითი და მნიშვნელოვანია ან/და არსებულ აუდიტის მეთოდოლოგიასთან და ხარისხის კონტროლის სისტემასთან აღმოჩნდა არსებითი/მნიშვნელოვანი და შესაძლოა ყოვლისმომცველი შენიშვნები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია საქმიანობის სრული აკრძალვის გარეშე. აუდიტორი ან აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორ(ებ)ი და პერსონალი ორიენტირებულია საკუთარი კვალიფიკაციის/აუდიტორული ფირმის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს მნიშვნელოვნად არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი;";

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.გ) ,,ე“ და ,,ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) მეხუთე კატეგორიის – თუ აუდიტორის/გარიგების პარტნიორის კომპეტენციიდან გამომდინარე არსებობს საჭიროება, რომ აუდიტორს/გარიგების პარტნიორს/აუდიტორულ ფირმას გარკვეული პერიოდით აეკრძალოს აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება ან/და ხარისხის კონტროლის სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მან შესაძლოა ურყოფითად იმოქმედოს აუდიტორის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობაზე, ან თუ აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის აკრძალვა აუცილებელია საზოგადოების ინტერესთა დასაცავად, ან თუ აღმოჩენილი ხარვეზები განსაკუთრებული სიმძიმით ხასიათდება, თუმცა სამსახურის მიერ მიიჩნევა, რომ ის აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოსწორებადია გონივრულ ვადებში;

ვ) მეექვსე კატეგორიის – თუ აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მიერ ხდება კანონმდებლობის ფუნდამენტურ მოთხოვნათა სისტემატურად შეუსრულებლობა ან/და სუბიექტის ან საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანა ან/და იმ შემთხვევებში, როდესაც აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მიერ განხორციელებული მომსახურება საშიშია საზოგადოებისთვის და სუბიექტთა ფუნქციონირებისათვის.“;

ბ) მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. თუ პირის მიმართ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მეხუთე კატეგორიის დასკვნის გაცემის თაობაზე, იგი არ არის უფლებამოსილი აუდიტის ჩატარების ან დასკვნაზე ხელის მოწერის აკრძალვის პერიოდში მიმართოს სამსახურს ხელახალი მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით.

8. მეხუთე კატეგორიის დასკვნის გაცემის შემთხვევაში სამსახური იტოვებს უფლებას, მისცეს აუდიტორს/გარიგების პარტნიორს/აუდიტორულ ფირმას მიმდინარე გარიგების საფუძველზე შესასრულებელი მომსახურების დასრულების საშუალება. ამ შემთხვევაში სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის სისტემატური მონიტორინგი.“.

6. 22-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. მეხუთე კატეგორიის დასკვნის გაცემის შემთხვევაში სამსახური არაუმეტეს 3 წლის ვადით კრძალავს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიერ აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორებისთვის/აქციონერებისთვის ფუნქციების განხორციელების უფლებას.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მეექვსე კატეგორიის დასკვნის გაცემის შემთხვევაში სამსახური ვალდებულია შეუწყვიტოს აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას რეგისტრაცია.“.

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ან/და გარიგების პარტნიორი სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ გაითვალისწინებს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ შენიშვნებს ან/და რეკომენდაციებს, არ შეასრულებს მითითებებს შესასრულებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, სამსახური ვალდებულია ასეთი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამისი გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს პასუხისმგებლობის ზომები კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №2

2018 წლის 7 მარტი, ქ. თბილისი

„შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ (www.matsne.gov.ge, 11.02.2011, 040170050.21.014.016011) 4^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 52-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის (გარდა ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა) საფუძველზე, ასევე კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას, მისი ღირებულება არ ჯამდება ამ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო ღირებულებასთან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №3

2018 წლის 7 მარტი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიაში“ (www.matsne.gov.ge, 29.12.2015, 040170050.57.069.016081) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი**:

„4. ხელოვნურად დაყოფის მიზნებისთვის, გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრები ითვლება ერთი და იმავე დაფინანსების წყაროდან წარმოშობილად, მიუხედავად მათი გამცემი სუბიექტ(ებ)ისა.“.

2. **მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს**.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №5

2018 წლის 7 მარტი, ქ. თბილისი

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებულ „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებსა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესში“ (www.matsne.gov.ge, 18.08.2015, 040170020.57.069.016067) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 8. კანონის პრინციპების დაცვა. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, დაიცვას კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული პრინციპები, აგრეთვე მე-8 მუხლით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები.

2. თუ მიმწოდებელი არის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, ინტერესთა კონფლიქტი დგება იმ შემთხვევაში, თუ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირსა და მიმწოდებელს შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ურთიერთობა, გარდა იმავე ნაწილის „გ“–„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ურთიერთობისა.

3. მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში იტვირთება ხელშეკრულებასთან ერთად.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში იტვირთება ხელშეკრულების შესრულების/ შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელ ფიზიკურ პირს არ ევალება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის დადასტურება, თუ აღნიშნული მას, როგორც მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილეს, უკვე დადასტურებული აქვს.“.

2. მე-11 **მუხლის** მე-5 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, დასაბუთებული გადაწყვეტილებით არ მიიღოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთი გარანტია, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. აღნიშნული გადაწყვეტილება (არსებობის შემთხვევაში) უნდა აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.“.

3. მე-12 **მუხლის**:

ა) მე-8 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„8. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, დასაბუთებული გადაწყვეტილებით არ მიიღოს ისეთი გარანტია, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. აღნიშნული გადაწყვეტილება (არსებობის შემთხვევაში) უნდა აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.“;

ბ) მე-8 **პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** მე-9 **პუნქტი**:

„9. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია (არსებობის შემთხვევაში) სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების დადებასთან ერთად ან მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, თუ წინასწარი ანგარიშსწორება გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №6

2018 წლის 7 მარტი, ქ. თბილისი

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებულ „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესსა და პირობებში“ (www.matsne.gov.ge, 25.05.2015, 040170030.57.069.016061) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„რ) შერჩევა-შეფასება – კონკურსის სტატუსი, რომელიც მოიცავს კონკურსის მიმდინარეობის ეტაპს, რა დროსაც ფასდება პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონკურსის სტატუსი კონკურსს ავტომატურად ენიჭება სისტემის მეშვეობით;“.

2. **მე-10 მუხლის მე-3–მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) თუ ელექტრონული გარანტია გაცემულია ელექტრონული გარანტიების რეესტრის მეშვეობით –კონკურსისთვის კონკურსის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებიდან არანაკლებ 160 დღე;

ბ) კონკურსისთვის კონკურსის საბოლოო სტატუსის მინიჭებიდან 10 დღე, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით.

4. თუ სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციის არასწორი ქმედების გამო პრეტენდენტს ამ მუხლით დადგენილი პირობების დარღვევით დაუბრუნდა ელექტრონული გარანტია, სააგენტო კონკურსის სტატუსს ცვლის, ასევე სისტემაში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველს აუქმებს მხოლოდ სააგენტოსთვის ელექტრონული გარანტიის იდენტური პირობებითა და ვადით გაცემული ახალი საბანკო გარანტიის წარდგენის შემდეგ. ასეთ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემთხვევაში სააგენტო კონკურსის ან/და ხელშეკრულების სტატუსს ცვლის, ასევე სისტემაში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველს აუქმებს ამ წესის 22-ე მუხლის შესაბამისად.

5. **ელექტრონული გარანტია პრეტენდენტს უბრუნდება**:

ა) დისკვალიფიკაციიდან 10 დღის გასვლისთანავე, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი საბჭოში გაასაჩივრებს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას მისი დისკვალიფიკაციის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, პრეტენდენტს ელექტრონული გარანტია დაუბრუნდება საჩივრის დაუშვებლად ცნობის/გახმობის ან საბჭოს მიერ გადაწყვეტილების (რომლითაც არ დაკმაყოფილდა საჩივარი) სისტემაში ატვირთვის შემდეგ, დაუყოვნებლივ, თუ მისი დისკვალიფიკაციიდან გასულია 10 დღე;

ბ) კონკურსისთვის კონკურსის სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“, „შეწყვეტილია“ ან „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ მინიჭებიდან 10 დღის გასვლისთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი დისკვალიფიცირებულია ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ვ“ ან „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე თუ პრეტენდენტი წინადადებების მიღების დასრულებამდე უარს იტყვის საკონკურსო წინადადებაზე.“.

3. **მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენისთანავე, საკონკურსო კომისია ამ პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად განუსაზღვრავს არანაკლებ 6 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №4457

2018 წლის 1 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციაში“ (დანართი №1) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა.ა) მე-13 მუხლის 43-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„43. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – პირველ ნაწილში აღინიშნება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი, გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შენახვის ვადა დღეებში, ხოლო საქონლის დროებით შენახვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება დროებით შენახვის საერთო ვადა დღეებში.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ბ) 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის პირველ ნაწილში აღინიშნება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი. საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემისას ახალი მესაკუთრის მიერ წარდგენილ დეკლარაციაში საბაჟო საწყობის საიდენტიფიკაციო კოდს ბოლოში ემატება – „/1„. გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შენახვის ვადა დღეებში, ხოლო საწყობის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის შენახვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება შენახვის საერთო ვადა დღეებში.“;

ა.გ) მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შიდა გადამუშავების ვადა დღეებში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლამდე საქონელზე გადამუშავების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება გადამუშავების საერთო ვადა დღეებში.“;

ა.დ) 41-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის გარე გადამუშავების ვადა დღეებში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლამდე საქონელზე გადამუშავების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება გადამუშავების საერთო ვადა დღეებში.“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) „ნაწილი 13. სამართალდარღვევათა კლასიფიკატორის“ მე-2 პუნქტის „ადმინისტრაციული სამართალდარღვევების“ „34“-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „35“ გრაფა:

„35	ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარეშე გადაადგილება (მუხლი 191[1])	B	P/N	1	9	1	1.”

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №4458

2018 წლის 1 მარტი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №12):

ა) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“:

ი.ა) თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სამმართველო.“;

ბ) მე-8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{1}“ – „თ^{4}“ ვეპუნქტები:

„თ^{1}) დეპარტამენტში საქმისწარმოების ორგანიზებისა და კონტროლის უზრუნველყოფა;

თ^{2}) საკონტროლო დავალებათა შესრულებაზე კონტროლის განხორციელება და შესაბამისი ინფორმაციის პერიოდულად მიწოდება დეპარტამენტის უფროსისათვის;

თ^{3}) დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რეგისტრაციისა და შემსრულებლამდე დაყვანის უზრუნველყოფა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ[4]) შემოსული და გასული კორესპონდენციის სათანადო დამუშავება და კონტროლი შემოსული კორესპონდენციის მოძრაობაზე.“;

გ) 8[1] მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

დ) 8[2] მუხლის:

დ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) გამოყენებული სასაქონლო ოპერაციის პირობებისა და ვალდებულების შესრულების მიზნით, საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სისტემატური საბაჟო კონტროლი;“;

დ.ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ[1]“ ქვეპუნქტი:

„გ[1]) საჭიროების შემთხვევაში, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე საბაჟო კონტროლის განხორციელება დაკვირვების (მათ შორის, ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემის) გამოყენებით;“;

დ.გ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) კომპეტენციის ფარგლებში სამართალდარღვევათა პრევენციისა და გამოვლენის მიზნით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული, საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების ან/და საქონლის დათვალიერება და, საჭიროების შემთხვევაში, საბაჟო კონტროლის სხვა პროცედურების განხორციელება;“;

დ.დ) „ო“ – „რ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ.ე) „ფ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ[1]“ ქვეპუნქტი:

„ფ1) კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;“;

ე) მე-17 მუხლის:

ე.ა) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე.ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„8. საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სამმართველო ახორციელებს:

ა) თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შესატანი ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან გასატანი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას და საბაჟო კონტროლს;

ბ) თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შესატანი ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან გასატანი საქონლის გაფორმებას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა-აღკვეთას, შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენას, სამართალდარღვევების აღრიცხვას;

დ) საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულებას.“.

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

saqarTvelos erovnuli banki

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად 7.25 პროცენტზე ტოვებს

14.03.2018

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2018 წლის 14 მარტს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ.

როგორც პროგნოზები მიუთითებდა, ერთჯერადი ფაქტორების ძირითადი ნაწილის განეიტრალებასთან ერთად, 2018 წლის დასაწყისში ინფლაციის მაჩვენებელმა შემცირება დაიწყო და თებერვალში 2.7 პროცენტი შეადგინა. არსებული პროგნოზებით, წლის განმავლობაში, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაციის მაჩვენებელი მიზნობრივ დონესთან (3 პროცენტი) ახლოს შენარჩუნდება. 2017 წელს მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, ერთობლივი მოთხოვნა კვლავ პოტენციურ დონეზე ქვემოთაა, რაც ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს. იმავდროულად, მიუხედავად ბოლო პერიოდში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარებისა, იგი ინფლაციაზე კვლავ ზრდის მიმართულებით მოქმედებს. შედეგად, ამ ეტაპზე კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ზომიერად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება. პოლიტიკის ეტაპობრივი შერბილების დაწყებას კომიტეტი განიხილავს ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედი ფაქტორების საკმარისად შესუსტების შემდეგ.

წინასწარი შეფასებით, იანვარში რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპმა წლიურად 4.4 პროცენტი შეადგინა. არსებული პროგნოზებით, გასული წლის მსგავსად, 2018 წელსაც მოსალოდნელია შედარებით მაღალი ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნება, რაც ხელს შეუწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებას მის პოტენციურ დონესთან.

საგარეო სექტორის პოზიტიური ტენდენციები 2018 წლის დასაწყისშიც გაგრძელდა. იანვარში კვლავ მაღალი ტემპებით გაიზარდა საქონლის ექსპორტი და ტურისტული შემოსავლები. ამავე დროს, ნარჩუნდება ფულადი გზავნილების დადებითი დინამიკაც. თუმცა, წინა წელთან შედარებით, იმატა იმპორტის ზრდის ტემპმაც. მთლიანობაში, არსებული პროგნოზები 2018 წლის განმავლობაში მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ფინანსურ ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2018 წლის 2 მაისს გაიმართება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფულადი გზავნილები თებერვალში

15.03.2018

2018 წლის თებერვალში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 113.9 მლნ აშშ დოლარი, 280.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 21.0 პროცენტით (19.8 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90.5 პროცენტი იმ 12 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ თებერვალში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 12 ქვეყანაზე გასული წლის თებერვალში მთელი ფულადი გზავნილების 91.0 პროცენტი მოდიოდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ფულადი გზავნილების მოცულობა თებერვალი, 2018 მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		თებერვალი, 2017	თებერვალი, 2018
სულ	133.9	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	40.1	31.1	35.2
მათ შორის:			
იტალია	14.1	10.5	12.4
საბერძნეთი	13.4	10.7	11.7
გერმანია	3.1	2.6	2.7
ესპანეთი	3.0	2.6	2.6
საფრანგეთი	1.4	1.0	1.2
გაერთიანებული სამეფო	1.3	1.1	1.1
დანარჩენი ქვეყნები, სულ	73.7	68.9	64.8
მათ შორის:			
რუსეთი	33.4	32.2	29.3
ისრაელი	11.8	8.1	10.4
თურქეთი	9.9	8.1	8.7
აშშ	8.2	10.8	7.2
უკრაინა	2.2	2.0	1.9
აზერბაიჯანი	1.3	1.3	1.2

2018 წლის თებერვალში საქართველოდან საზღვარგარეთ 18.0 მლნ აშშ დოლარი (44.3 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 14.6 მლნ აშშ დოლარისა (38.5 მლნ ლარისა) გასული წლის თებერვალში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულების აუქციონის შედეგი

14.03.2018

2018 წლის 14 მარტს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 20 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო რვა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 67 000 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.240 პროცენტით, მაქსიმალური 7.300 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.286 პროცენტით განისაზღვრა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

14.03.2018

2018 წლის 14 მარტს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 79 000 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.440 პროცენტით, მაქსიმალური 7.495 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 7.474 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.625 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

situaciuri saxelmZRvaneloebi / manualebi

დაქირავებული პირისათვის გაწეული მომსახურება 2424



- *სიტუაციური სახელმძღვანელო არ არეგულირებს არარეგისტრირებული ფიზიკურ პირის საგადასახადო ვალდებულებებს*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 იანვრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„დაქირავებული პირისათვის გაწეული მომსახურება“ №2424

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დაქირავებული პირისათვის გაწეული მომსახურების საშემოსავლოს გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, გადასახადის გადამხდელს (დამქირავებელს) დასახლებული პუნქტის გარეთ მდებარე ობიექტებზე სამუშაოების შესასრულებლად მივლინებული ჰყავს დაქირავებული პირები. დამქირავებელს დაქირავებულებთან მიმართებაში გამოცემული აქვს მივლინების ბრძანებები და ხელფასთან ერთად უნაზღაურებს გარკვეულ თანხებს მივლინების სადღეღამისო ნორმის, კვებისა და ბინის ქირის სახით.

დაქირავებულებთან შეთანხმებით, დამქირავებელი მივლინების სადღეღამისო თანხას (დღიური-15 ლარი) ურიცხავს ინდივიდუალურ მეწარმედ არარეგისტრირებულ X ფიზიკურ პირს, რომელიც დაქირავებულებს კვების მომსახურებით უზრუნველყოფს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, X ფიზიკურ პირს კვების მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებული აქვს დაქირავებულთან, ხოლო დამქირავებელთან არანაირი შეთანხმება არ გააჩნია.

დამქირავებელს X ფიზიკური პირისათვის გადახდილი თანხა განხილული აქვს მივლინების ხარჯად. სხვა რაიმე საგადასახადო ვალდებულება (მათ შორის, აგენტის) არ აქვს განსაზღვრული.

„სამივლინებო ხარჯების საგადასახადო შემოწმების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 06 სექტემბრის №7545 ბრძანების შესაბამისად, მივლინება არის დამქირავებლის ბრძანებით (დავალებით) დაქირავებულის გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ. სადღეღამისო ხარჯი მოიცავს დაქირავებულის ყველა პირად ხარჯს გარდა მგზავრობისა და ბინის დაქირავებისა. „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად, მივლინების

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სადღეღამისო ხარჯის ნორმა ქვეყნის შიგნით მივლინებაში ყოფნის თითოეულ დღეზე შეადგენს 15 ლარს.

სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს საწარმოს/ორგანიზაციასა ან მეწარმე ფიზიკური პირს, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული არ არის.

ვინაიდან კვების მომსახურებით სარგებლობს დაქირავებული, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოს და ფიზიკურ პირს, მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებული აქვს დაქირავებულთან, დამქირავებელს არ ეკისრება საგადასახადო აგენტის მოვალეობა გადახდილ თანხებთან მიმართებაში.

შესაბამისად, დამქირავებლის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

წარმატების რეალური საიდუმლო ენთუზიაზმია.

უოლტერ კრაისლერი

ცხოვრებაში წარუმატებლობაზე უარესიც არსებობს: ესაა არაფერი გქონდეს გაკეთებული.

თეოდორ რუზველტი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის წარუდგენლობა 2425

ფაქტობრივი გარემოებები

საგადასახადო შემოწმებით დადგინდა, რომ საწარმომ საანგარიშო პერიოდში არ წარადგინა ან შემცირებული თანხით წარადგინა როგორც გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია, ასევე საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაცია.

ვარიანტი I

საწარმომ საანგარიშო თვეში დაქირავებულ პირებზე გასცა ხელფასი.

ვარიანტი II

საწარმოს დაქირავებულმა პირმა ამავე საწარმოსაგან საანგარიშო თვეში მიიღო უპროცენტო სესხი.

ვარიანტი III

საწარმომ დაქირავებულ პირებს გადასცა საქონელი.

შეფასება

სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულს უხდის ხელფასს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 39-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელსაც ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება, ვალდებულია შემოსავლების მიმღები პირის შესახებ არაუგვიანეს გადასახადის დაკავების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოსთვის წარადგინოს ინფორმაცია საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ.

სამივე ვარიანტში:

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის ხელფასის გაცემის, აგრეთვე, განაცემის არაფულადი ფორმით გაცემის ფაქტი, საწარმოს წარმოეშობა საგადასახადო აგენტისა და, შესაბამისად, დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება. ამასთანავე, საწარმო ვალდებული იყო სწორად აესახა სარგებლის ღირებულება განაცემების შესახებ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ ინფორმაციაში.

ღონისძიებები

სამივე ვარიანტში:

დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისთვის, პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით განსაზღვრული ჯარიმით.

სამივე ვარიანტში:

საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობის თვის/არასრულად წარდგენისთვის პირი დაჯარიმდება სსკ-ის 291-ე მუხლით განსაზღვრული ჯარიმის თანხით - 100 ლარით.

- *სიტუაციური სახელმძღვანელო არ არეგულირებს ფიზიკურ პირზე გაცემული სესხის მიხედვით საწარმოს შემოსავლის/მოგების გადასახადის განსაზღვრის საკითხებს*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 30 იანვრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის წარუდგენლობა“ №2425

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს გადამხდელის მიმართ მოცემულ საანგარიშო პერიოდში გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობისას ჯარიმის თანხის გასაზღვრის საკითხს.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, საგადასახადო შემოწმებით დადგინდა, რომ საწარმომ საანგარიშო პერიოდში არ წარადგინა ან შემცირებული თანხით წარადგინა როგორც გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია, ასევე საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე: **პირველი ვარიანტის** თანახმად, საწარმომ საანგარიშო თვეში დაქირავებულ პირებზე გასცა ხელფასი; **მეორე ვარიანტის** შესაბამისად, საწარმოს დაქირავებულმა პირმა ამავე საწარმოსაგან საანგარიშო თვეში მიიღო უპროცენტო სესხი; ხოლო **მესამე ვარიანტის** თანახმად, საწარმომ დაქირავებულ პირებს გადასცა საქონელი.

სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის სესაბამისად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი რომელიც: დაქირავებულს უხდის ხელფასს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 39-ე მუხლისთანახმად პირი, რომელსაც ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ვალდებულია შემოსავლების მიმღები პირის შესახებ არაუგვიანეს გადასახადის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაკავების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოსთვის წარადგინოს ინფორმაცია საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ.

სამივე ვარიანტში იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის ხელფასის გაცემის, აგრეთვე, განაცემის არაფულადი ფორმით გაცემის ფაქტი, საწარმოს წარმოეშობა საგადასახადო აგენტისა და, შესაბამისად, დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება. ამასთანავე, საწარმო ვალდებული იყო სწორად აესახა სარგებლის ღირებულება განაცემების შესახებ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ ინფორმაციაში.

სამივე ვარიანტში საწარმო დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე და საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობისთვის/არასრულად წარდგენისთვის პირი დაჯარიმდება სსკ-ის 291-ე მუხლით განსაზღვრული ჯარიმის თანხით -100 ლარით.

ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს მოკლედ, რადგან მათ აშინებთ წარმატება, მათ ეშინიათ გადაწყვეტილების მიღების და გამარჯვების.

დონალდ ტრამპი

მრავალი შესაძლებლობა არსებობს, რომ კარიერა აიწყო, მაგრამ ყველაზე საუკეთესოა შესაბამის ოჯახში დაიბადო.

დონალდ ტრამპი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ მიღებული შემოწირულების ფიზიკურ პირზე გრანტის სახით გაცემა 2426

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოში რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ (ა(ა)იპ), უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მიიღო შემოწირულობა (ფულადი სახსრები).
ამავე ორგანიზაციამ, გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში, მიღებული შემოწირულობიდან სწავლის საფასურის ანაზღაურების მიზნით გრანტის სახით დააფინანსა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

საქართველოში რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ (ა(ა)იპ) ფიზიკურ პირზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტზე, სწავლის საფასურის ანაზღაურების მიზნით გაცემული გრანტის ნაწილში, არ შეასრულა საგადასახადო აგენტის ვალდებულება.

შეფასება

„გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.

აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს საქართველოს ის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის ძირითადი საწესდებო მიზანია ქონების დაგროვება საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობისათვის. ხოლო მე-4 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე.

სსკ-ის 154-ე მუხლით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში ევალება საგადასახადო აგენტს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება.

სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება მიღებული გრანტი.

იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მიღებული გრანტი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან და ამასთან, სსკ-ის 154-ე მუხლი არ ითვალისწინებს გრანტზე გადასახადის წყაროსთან დაკავებას, საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციას (ა(ა)იპ), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისთვის ფულადი სახსრების გრანტის სახით გადარიცხვისას, საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ წარმოეშობა. შესაბამისად, გაცემული გრანტი არ დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით წყაროსთან დაბეგვრას.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

- სიტუაციურ სახელმძღვანელოში აღნიშნული შემოწირულების მიღების მიზანი (უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობა) პირობითია და სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება ყველა იმ შემოწირულებასთან მიმართებით, რომელიც გამოიყენებს „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის
- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

ანოტაცია

„საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ მიღებული შემოწირულების ფიზიკურ პირზე გრანტის სახით გაცემა" №2426

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ მიღებული შემოწირულების ფიზიკურ პირზე გრანტის სახით გაცემისას საგადასახადო აგენტის ვალდებულების წარმოშობის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საქართველოში რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ (ა(ა)იპ), უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მიიღო შემოწირულობა (ფულადი სახსრები). ამავე ორგანიზაციამ, გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში, მიღებული შემოწირულობიდან სწავლის საფასურის ანაზღაურების მიზნით გრანტის სახით დააფინანსა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი. საქართველოში რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ (ა(ა)იპ) ფიზიკურ პირზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტზე, სწავლის საფასურის ანაზღაურების მიზნით გაცემული გრანტის ნაწილში, არ შეასრულა საგადასახადო აგენტის ვალდებულება.

„გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს საქართველოს ის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის ძირითადი საწესდებო მიზანია ქონების დაგროვება საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობისათვის. ხოლო მე-4 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე სსკ-ის 154-ე მუხლით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში ევალება საგადასახადო აგენტს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება მიღებული გრანტი.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე:

იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მიღებული გრანტი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან და ამასთან, სსკ-ის 154-ე მუხლი არ ითვალისწინებს გრანტზე გადასახადის წყაროსთან დაკავებას, საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციას (ა(ა)იპ), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისთვის ფულადი სახსრების გრანტის სახით გადარიცხვისას, საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ წარმოეშობა. შესაბამისად, გაცემული გრანტი არ დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით წყაროსთან დაბეგვრას.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში აღნიშნული შემოწირულების მიღების მიზანი (უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობა) პირობითია. სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება ყველა იმ შემოწირულებასთან მიმართებით, რომელიც გამოიყენება „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი პირის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა 2533

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

- სიტუაციური სახელმძღვანელო გამოიყენება მხოლოდ გაუმიჯნავი ხარჯების გამოსაქვითი ოდენობის დადგენის მიზნებისათვის
- სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრამდე არსებულ საგადასახადო პერიოდებზე

ანოტაცია

„აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი პირის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა“ №2533

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი პირის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრის საკითხს, გაუმიჯნავი ხარჯების გამოსაქვითი ოდენობის დადგენის მიზნებისათვის.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორ პირს მოგების გადასახადის მიზნებისათვის გააჩნია როგორც ჩვეულებრივი წესით დასაბეგრი (გამართული აქვს თამაშობები სათამაშო აპარატებით (სისტემურ-ელექტრონული ფორმით)), ასევე მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (გამართული აქვს თამაშობები კანონმდებლობის შესაბამისად, სათამაშო აპარატებით მოწყობილ სალონში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმისა)). აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში საწარმოს შემოსავლის მიღების მიზნით გაწეული აქვს ხარჯები, რომელთა მიკუთვნება კონკრეტული საქმიანობისათვის შეუძლებელია.

პირს დასაბეგრი მოგების დასადგენად, გამოსაქვითი ხარჯი გაანგარიშებული აქვს საერთო შემოსავალში დასაბეგრი შემოსავლის ხვედრითი წილის პროპორციულად. ამასთან, შემოსავლების ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს მოთამაშეების მიერ განხორციელებული ყველა ის ფსონი, რომელთან დაკავშირებითაც ორგანიზატორს მოპოვებული აქვს შემოსავლების მიღების უფლება (მათ შორის, მოთამაშის მიერ მოგებული თანხის ხარჯზე განხორციელებულ ფსონებთან (ე.წ. „ჩატრიალებული/ჩაბრუნებული თანხები"/„სპინი" და სხვა) დაკავშირებით).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვინაიდან ორგანიზატორს გაწეული აქვს მოგების გადასახადით დასაბეგრი, ასევე მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები და მათი მიკუთვნება კონკრეტული საქმიანობისათვის შეუძლებელია, გამოსაქვითი ხარჯები უნდა განისაზღვროს საერთო შემოსავალში მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის ხვედრითი წილის პროპორციულად, თუ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა უფრო ზუსტი და გონივრული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა არ არსებობს.

ამასთან, საერთო შემოსავლების ფორმირება, განხორციელებული ფსონების ჯამური თანხით, მათ შორის, მოგებული თანხის ხარჯზე განხორციელებული ფსონების ჩათვლით, კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება, თუ ასევე კონკრეტულ შემთხვევაში სხვა უფრო ზუსტი და გონივრული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა არ არსებობს.

სამსახური ცხოვრების დიდ ნაწილს იკავებს, თქვენი კმაყოფილებისთვის აუცილებელია აკეთოთ საქმე რომელიც გჯერათ რომ ღირებულია, ღირებულის შექმნა კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც აკეთებ იმას რაც გიყვარს.

სტივ ჯობსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com